5964687600291
www.ecd.court.ge

ბრძანება
საქართველოს სახელით

27 აპრილი, 2020 წელი

თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ვალერიანე ფილიშვილი

შუამდგომლობის წარმომდგენი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

მოთხოვნა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად განსაზღვრულ პირთა სიებში დამატებული ფიზიკური პირების ქონებაზე ყადაღის დადება;

შუამდგომლობის განხილვის ფორმა: ზეპირი მოსმენის გარეშე;

გამოარკვია:

2020 წლის 24 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მომართა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[30] მუხლის, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 დეკემბრის N487 დადგენილებით განსაზღვრული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის დებულების მე-4 მუხლის „ა" ქვეპუნქტების შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადმოაგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 127 (2013) რეზოლუციის შესაბამისად მოქმედი „ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის" სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ პირთა სია. „ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის" სანქციათა კომიტეტის მიერ განსაზღვრულ პირთა სიაში შეყვანილია 1 (ერთი) პირი.

შუამდგომლობის ავტორი ითხოვს, განხილულ იქნეს შუამდგომლობა „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ყადაღის დადების

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად განსაზღვრულ პირთა სიაში შეყვანილ ფიზიკური პირის ქონებას.

სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[1] თავით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალწარმოების განხორციელების წესი ტერორიზმთან დაკავშირებული პირებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[30] მუხლის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომ – გაერო) წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად, რომელთა მიზანია ტერორიზმის დაფინანსების ან/და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე ხრძანებას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის (შემდგომ – სამთავრობო კომისია) შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

21[31] მუხლის თანახმად, გაეროს უშიშროების საბჭოს №1373 (2001) რეზოლუციის მოთხოვნების შესაბამისად ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული, ყადაღადასადები ქონების შესახებ მონაცემები მათი არსებობის შემთხვევაში.

21[32] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობას დაუყოვნებლივ, ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას არაუგვიანეს 3 დღისა, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პირისთვის შეუტყობინებლად. მე-3 ნაწილის თანახმად, მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის განხილვისას ითვალისწინებს ყადაღისადმი დაქვემდებარებულ ქონებაზე კეთილსინდისიერ მესამე პირთა უფლებებს. ხოლო მე-4 ნაწილის თანახმად, მოსამართლე გამოსცემს სამთავრობო კომისიის შუამდგომლობით განსაზღვრულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე ბრძანებას, თუ დასკვნის, რომ სამთავრობო კომისიის შუამდგომლობაში მითითებული პირი

აკმაყოფილებს გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციით განსაზღვრულ სათანადო პირობებს. ხოლო, მე-6 წაწილის თანახმად, ქონებას ყადაღა ედება უვადოდ, ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გაუქმებამდე.

მითითებული ნორმის მე-7 ნაწილის თანამად, ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მოსამართლის ბრძანება დგება სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი რჩება სასამართლოში, მეორე ეგზავნება სამთავრობო კომისიას, ხოლო მესამე – შუამდგომლობაში მითითებულ პირს. თუ ამ ბრძანების ეგზემპლარის აღნიშნული პირისთვის გადაცემა ვერ ხერხდება, ბრძანება ქვეყნდება საჯაროდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და მხარისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯაროდ გამოქვეყნებიდან მესამე დღეს.

სასამართლო დამატებით მიუთითებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმადაც თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, სასამართლო ბრძანებას გამოქვეყნებს საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდა გამომდინარე, წარმოდგენილი მასალების და აღნიშნულ ნორმათა გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს - ყადაღა უნდა დაედოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესაბამისად განსაზღვრულ პირთა სიებში დამატებული ფიზიკური პირის ქონებას.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. ყადაღა დაედოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად განსაზღვრულ პირთა სიებში დამატებული ფიზიკური პირის ქონებას.

2.1. ფიზიკური პირები:

პირადი ინფორმაცია (სახელ(ებ)ი, დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება / მოქალაქეობ	ფსევდონიმ(ებ)ი, ზედმეტსახელ(ებ)ი	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართ(ებ)ი, შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია

' ა) '					
1) **<u>სახელები:</u>** 1) მარტინ (MARTIN) 2)კოუმტამადჯი (KOUMTAMAHDJI) **<u>წოდება/თანამდებობა:</u>** ცენტრალური აფრიკის დემოკრატიული ფრონტის (FDPC) პრეზიდენტი და მთავარსარდალი (President and commander-in-chief of the Front Democratique du Peuple Centrafrican (EDPC)) **<u>დაბადების თარიღი:</u>** ა)1965 წლის 03 მარტი (3 March 1965) ბ)1965 წლის 05 ოქტომბერი (5 Oct. 1965)	ა)აბდოულაიე მისკინე (Abdoulaye Miskine); ბ)აბდოულლაიე მისკინე (Abdoullaye Miskine); გ) მარტინ ნადინგარ კოუმტამადჯი (Martin Nadingar Koumtamadji); დ) მარტინ ნკოუმტამადჯი (Martin KoumtaMadji) ე) მარტინ კოუმტა მადჯი (Martin Koumta Madji) ვ) ომარ მაჰამატ (Omar Mahamat)	ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დიპლომატიური პასპორტის ნომერი: 06FBO2262 (გაცემულია 2007 წლის 22 თებერვლას, ძალაში იყო 2012 წლის 21 თებერვლამდე) (CAR diplomatic passport no. 06FBO2262, issued on 22 Feb. 2007 (expired on 21 Feb. 2012))	ამ დაფოქ, ვაკაგას პრეფექტურა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (Am Dafock, Vakaga prefecture, Central African Republic)	2020 წლის 20 აპრილი (20 April 2020)	მარტინ კოუმეამადჯიმ FDPC დააფუძნა 2005 წელს. იგი შეუერთდა სელეკას კოალიციას 2012 წლის დეკემბერში და დატოვა იგი 2013 წლის აპრილში, აჯანყებულების მიერ ბანგუის აღების შემდეგ-კამერუნში დაკავების შემდეგ იგი გადაყვანილ იქნა ბრაზავილში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ის ყოველთვის მეთაურობდა მის ჯარებს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ბრაზავილიდანაც კი, სანამ დაბრუნდებოდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში (2014 2019 წლებს შორის პერიოდში). FDPC-მა 2019 წლის 06 თებერვალს, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ხელი მოაწერა მშვიდობისა და შერიგების შესახებ შეთანხმებას, თუმცა მარტინ კოუმეამადჯი კვლავ რჩება საფრთხედ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის. (Martin Koumtamadji founded the FDPC in 2005. He joined the Séléka coalition in December 2012 before leaving it in April 2013 after the rebels took power in Bangui.

<u>ნებადართული ადგილი:</u> ა) ნდინაბა, ჩადი (Ndīnaba, Chad); ბ) კობო, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (Kobo, Central African Republic); გ) კაბო, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (Kabo, Central African Republic) <u>მოქალაქეობა:</u> ა) ჩადი (Chad); ბ)ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (Central African Republic)					After being arrested in Cameroon, he was then transferred to Brazzaville in the Republic of Congo. He always remained in command of his troops on the ground in the CAR even when he was in Brazzaville before returning to the CAR (between November 2014 and 2019). The FDPC signed the Political Agreement for Peace and Reconciliation in the CAR on 6 February 2019 but Martin Koumtamadji remains a threat to the peace, stability and security of the CAR.).

3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე და და მისი გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების მოქმედებას.

4. ბრძანება განთავსდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის: ქალაქ თბილისი, გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №7ა), მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში, ხოლო თუ გადაცემა

ვეჩ ხერხდება, მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

მოსამართლე: ვალერიანე ფილიშვილი